პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მეომარი

1923
დეკემბერ.
7
პარასკევი
შესან. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სახაზინის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მან. 20 კ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 397 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 5 [illegible] ჩერ. № 397

კიდევ ერთი სახელოვანი წლის თავი.

გუშინ შესრულდა სამი წელი მას ემდეგ, რაც რომ შედგენილი იქნა იდი წითელი არმიის ერთ-ერთი ხელოვან რაზმთაგანი, სომხეთის წი- ელი დივიზია.

თავის თავად ეს დრო მეტად ირეა, მაგრამ ის შეიძლება ჩაითლოს მთელ ეპოქად საბჭოთა სომ თის ცხოვრებაში.

ამ ხნის განმავლობაში სომხეთის თელი ჯარი საკმაოდ გაიზარდა გახდა ერთგული დარაჯი მუშურ ლეხური ქვეყნისა.

ჯერ კიდევ 1920 წელში სომხე- ს მუშებმა და გლეხებმა აღმართეს როში დაშნაკთა დიქტატურის წი- ალმდეგ. მაგრამ ნაჩქარევად შედ- ნილ პარტიზანულმა რაზმებმა პირ ლ ბრძოლაში იგემეს დამარცხება. 7 ლის შემდეგ სომხეთის მშრო- ლი მასები კვლავ აღსდგა საბრძოველად და რუსეთის წითელი არ- ის დახმარებით თავი დააღწია და- კთა მძიმე უღელს.

დაშნაკელების დაშლილ არმიის ნანგრევებზე იზრდება სომხეთის წითელი არმია.

დაშნაკთა კონტრევოლიუციონურმა გამოსვლებმა და მასთან ბრძოლამ გააკაჟეს წითელი არმიის სული.

ამიერ კავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკების ფედერატიულად შეკავშირების შემდეგ, სომხეთის წითელი არმია შევიდა როგორც ორგანიული ნაწილი წითელ დროშიან კავკასიის არმიის შემადგენლობაში და ეწოდა მას სომხეთის წითელი დივიზია.

ამ ჟამად სომხეთის წითელი დივიზია აწარმოებს გაძლიერებულ მუშაობას და აუმჯობესებს ნაწილების გაწვრთნისა და აღზრდის საქმეს.

უსურვეთ მას ბრწყინვალე წარმატებას საბჭოთა სომხეთის საკეთილდღეოდ და დიდი წითელი არმიის სასახელოდ.

სალამი და დიდება კავკასიის წითელ დროშიან არმიის სახელოვან რაზმს, სომხეთის წითელ დივიზიას.

გერმანიის ამბები

— კოვნოში გაიფიცეს მბეჭდავები. მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.
— დანიაში უმუშევართა რიცხვი იზრდება. იქ ამ ჟამად 30 600 უმუშევარი ითვლება.
— გერმანიის მარკის კურსი იზრდება. სურსათ სანოვაგეს გაიაფება ემჩნევა.
— რეიხსბანკის დირექტორად გამგეობამ ერთხმად აირჩია გელფერიხი.

ბავარია.

ბავარიის ფინანსთ მინისტრი კრაუსნიმი თანამდებობიდან გადადგა, რადგანაც ის ვერ შეუთანხმდა მთავრობას ფინანსიურ კრიზისიდან გამოსავალ ზომების გამოძებნის საკითხში.

მოსალოდნელია შინაგან საქმეთა მინისტრის შვეიერის და მიწადმოქმედების მინისტრის კურცენგოფერის გადადგომა, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ „სამშობლო კავშირების“ გავლენისა მთავრობის საქმეებზე, და ილაშქრებდენ აგრეთვე კარის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობის კომპეტენციაში ერეოდა. ამ მინისტრების გადადგომა ნიშნავს კარის პოზიციის განმტკიცებას და მთავრობის მიდრეკილებას დაეყრდნოს გლეხურ ელემენტებს, რომელთა შორის „სამშობლოს კავშირები“ და თავდაცვის დრუჟინებია.

კარის სრულუფლებიანობის გაფართოება.

ბავარიის მთავრობა ამზადებს კანონპროექტს კარის უფლებების გასაფართოებლად. სახალხო პარტიის კაპიტულიაცია გამოწვეულია გიტლერის მომხრეების გაძლიერების შიშით.

„სამხრეთ გერმანიის სახელმწიფო“.

აკრძალვის საწინააღმდეგოდ, გიტლერის მომხრეები ავრცელებენ პროკლამაციებს, რომლებშიაც ამტკიცებენ, რომ კარდინალი ფაულგაბერი და რუპრეხტის კანცელარიის უფროსი გრაფი სოდენი აწარმოებენ პუანკარესთან მოლაპარაკებას სამხრეთ-გერმანეთის სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელშიაც უნდა შევიდენ ბავარია, ვიურტენბერგი, ბადენი და ავსტრია, საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ. პროკლამაციაში ნათქვამია, რომ თითქოს ავსტრიის კანცლერმა მოიწონა ეს გეგმა.

მიუნხენში უკვე მოვიდა ავსტრო-გერმანეთის ექს—იმპერატრიცა ზიტა. მონარქიის აღდგენის საქმეში დახმარებისათვის კარს შეჰპირდენ გრაფის ტიტულის ბოძებას.

ვიუტენბერგი.

ბავარიის მიხედვით, ვიურტენბერგის მთავრობამაც გადასწყვიტა შეამციროს სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვი. მოელიან ამგვარ გადაწყვეტილებას სხვა სახელმწიფოებშიც.

სეპარატისტულ მოძრაობის კრახი.

საფრანგეთის პრესა ერთხმად ამტკიცებს რეინის ოლქში სეპარატისტულ მოძრაობის კრახს. გერმანულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით სჭარბობს ისეთი შეხედულება, რომ შექმნილ იქნება რეინის ავტონომიური სახელმწიფო, რომელიც შევა გერმანიის შემადგენლობაში- ამ მხრივ პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს რეინის ბანკის წინამდებარე ორგანიზაცია.

სოციალ დემოკრატიული პარტია რეინის რესპუბლიკის შესახებ.

რეინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია წავიდა რეინის ოლქის პრუსიისაგან გამოყოფის წინააღმდეგ, ხოლო მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის მიღების საკითხს რეინის პარლამენტში.

რეინის სოციალ დემოკრატებს შორის.

რეინის, სოციალ-დემოკრატების კონფერენციაზე აშკარად გაიმარჯვა ოპოზიციამ. კონფერენციამ დაგმო პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რეიხსტაგის ფრაქციის კოალიციური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო საქსონიისა და ტიურინგიის წინააღმდეგ. კონფერენციამ სასტიკად გაილაშქრა ყოველგვარ ბურჟუაზიულ პარტიებთან მუშაობის წინააღმდეგ და მიიღო კომუნისტებთან შესათანხმებლად მუშაობის საკითხი: მან უარყო სოციალ დემოკრატიული პარტიის ცეკას პლენუმის გადაწყვეტილება ამის შესახებ.

სამუშაო დღე.

რურის ოლქის სამთო მადნო მუშებმა ორ კონფერენციაზე წინააღმდეგ წავიდენ იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებული იყო მაღაროების მესაკუთრეთა და სამთომადნო მუშათა კავშირის შორის სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ. ამის გამო ფიქრობენ, რომ სამთომადნო მუშების სოციალ-დემოკრატიული კავშირის მომავალ კონფერენციაზე ბერლინის შეთანხმება ძალით გასატარებელი იქნება.

მარკის კურსი.

მარკის კურსის გაუმჯობესების საქმე უცხოელ ბირჟებზე გრძელდება. მარკის კურსის გამოკეთების გამო შეჩნეულია ფასების დაწევა სურსათზე და სხვა საქონლებზე.

გერმანიის ელჩის გადადგომა ამერიკაში.

„ბერლინერ ტაგებლატი“, იუწყება რომ გერმანიის ელჩი ვაშინგტონში შუამდგომლობს მისი სახელმწიფო სამსახურიდან განთავისუფლებაზე.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში.

გერმანიის ამბების მსვლელობამ, ვოლიუციის შეფერხებამ, სოციალ- მოკრატ ბელადების ღალატმა, ტას და ფაშისტების აღვირ ახ- ლმა თარეშმა მეტად მწვავე სა- ხი დასვა გერმანიის მუშათა ასის წინაშე: ან ძველი გზის გა- ძელება სოციალ-დემოკრატებთან თად, რაც ნიშნავს სტინნესის მო- ბის უღელში შებმას, და ან ყო- ლგვარი კავშირის გაწყვეტა სო- ალ-დემოკრატიასთან და კომუ- ტურ დროშის ქვეშ დადგომა, პარტიის მეთაურობით კაპიტა- ზმის დამსხვრევა. გერმანიის მუ- თა კლასი რა თქმა უნდა უკანას- ლ გზას დაადგება. ამის დამამ- ცებელია სოციალ-დემოკრატი- პარტიაში არსებული განხეთ- ლება, რომელმაც მეტად მწვავედ ნა თავი საქსონიის სოც.-დემ. განიზაციების უკანასკნელ ყრი- ბაზე.

გერმანიის სოციალ დემოკრატია ულ წლების განმავლობაში მსო- ოო სოციალისტურ მოძრაობის მძღვანელი იყო. გერმანიის მუ- თა კლასი თავიდანვე მიეკედლა ციალ-დემოკრატიას და მასში სა- თლიანად დაინახა მისი ინტერე- ის ერთგულად დამცველი. მაგ- გერმანიის სოც. დემ. რევოლიუ- ნური და მარქსისტული მხო- დ ომამდის იყო. იმპერიალის- რ ომის დროს მან სავსებით ლატა პროლეტარიატს და ბურ- ზიის მონა-მორჩილი შეიქმნა. ოც. დემოკრატიისადმი სიყვარუ- და ნდობა იმდენად ძლიერი იყო გერმანიის მუშათა კლასში, რომ ის გაყვა მოღალატე ბელადებს და მათთან ერთად ბურჟუაზიის საქმეს აკეთებდა. დიდი იყო გავლენა სოც.-დემოკრატიის გერმანიაში, გერმანიის პროლეტარიატის მთელი თაობა მის დროშის ქვეშ იზრდებოდა და ვითარდებოდა. ამისათვის არც გასაკვირია თუ გერმანიის მუშათა კლასის უმრავლესობას დღემდისაც არ გაუწყვეტნია კავშირი სოციალ-დემოკრატიასთან და მიუხედავათ უკანასკნელის მიერ ჩადენილ მუხანათობისა მაინც მას მიყვებოდა.

დღეს კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. მწარე სინამდვილემ გერმანიის პროლეტარიატს დაანახვა, რომ საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს მისი მოქმედების გზა, რომ გადაურჩეს ფაშიზმის კლანჭებს.

საქსონიის და ტიურინგიის მუშათა მთავრობების გარეკვამ, ბავარიის საკითხმა, ფაშისტების გაძლიერებამ, მუშათა ორგანიზაციების დაშლამ, გერმანიის მუშათა კლასს დაუმტკიცა, რომ სოციალ-დემოკრატიის ბელადების უმოქმედობით და ღალატით არის შექმნილი ასეთი მდგომარეობა და საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მათთან კავშირის გაწყვეტა.

ამ დღეებში მომხდარ საქსონიის სოც.-დემ. ორგანიზაციების ყრილობაზე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ეს საკითხი. მემარცხენე სოციალ-დემოკრატები დაუზოგავ კრიტიკით გამოვიდნენ პარტიის ცეკას მოქმედების შესახებ და მოითხოვეს პარტიის პოლიტიკის შეცვლა. მემარცხენე მიმართულების სახელით ყრილობაზე გამოვიდა ზონდერი, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „რურში პასიურ წინააღმდეგობის დროს სოც.-დემოკრატები თანამშრომლობდენ უკიდურეს ნაციონალისტებთან... შტრეზემანის კაბინეტში სოც.-დემოკრატები აბარებდენ პოზიციებს პოზიციებზე, აგრეთვე ხმა მისცეს საალყო წესების შემოღებას... ჩვენ მოვითხოვთ, რომ პარტიამ აწარმოოს პატიოსანი ბრძოლა პროლეტარიატის ინტერესებისათვის“. უთანხმოებამ უმთავრესად იჩინა თავი პარტიის დაბალ ფენებში. ისინი მოითხოვენ პარტიის პოლიტიკის სავსებით შეცვლას, რევოლიუციონურ მუშაობის გაღრმავებას, კომუნისტებთა საერთო ენის გამონახვას.

გერმანიის მუშათა კლასის სოც.-დემოკრატებიდან ჩამოშორება და მათი დარაზმვა კომპარტიის დროშის ქვეშ ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. მაგრამ ამ პროცესს აჩქარებს გერმანიის დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. გერმანიის სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვების მთავარი პირობა სოციალ-დემოკრატიის გავლენის სავსებით დაკარგვა [illegible] მუშათა მასსებში. მხოლოდ მაშინ შესძლებს გერმანიის პროლეტარიატი გაერთიანდეს ერთ მთლიან კომუნისტურ ოჯახში. არც მემარცხენე და არც მემარჯვენე სოციალ დემოკრატებთან, არამედ კომუნისტურ პარტიასთან.

კომუნისტური პარტია გაერთიანებულ პროლეტარიატს წაიყვანს კაპიტალიზმის დასამხობად და ბრწყინვალედ დააგვირგვინებს ამ დიდ საქმეს.

ალ.

„წითელი არმიელი“-ს რედაქცია და კანტორა

მიმართავს ჯარის ნაწილებს და ხელის მომწერთ თხოვნით

შეატყობინოთ ყველა შემთხვევები გაზეთ „**წითელ არმიელი**“-ს არ მიღების, დაგვიანების თუ სხვ. შესახებ, რათა **დაუყონებლივ იქნას მიღებული სათანადო ზომები** ცნობები გამოგზავნეთ გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქციის მისამართით: **სასახლის ქ. 5.**

ჯერჯერობით უსახსრობის გამო გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ. (ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას).

ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილება ა. წ. 10 დეკემბრისათვის იწვევს ყველა ნაწილების სამხედრო კომისრების მდივნებს თათბირს-სტატისტიკური ანგარიშების ახალი ფორმების და საქმის წარმოების მთლიანის სქემის გასაცნობათ

მდივნები უნდა გამოცხადდენ პოლიტ-განყოფილებაში ფაქტიურ მასალით იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიდენ პერიოდულ ანგარიშების თავის დროზე წარმოდგენას, და პრაქტიკულ წინადადებით საერთო სქემის წარმოების შემოღების და პერიოდული ანგარიშების გაუმჯობესების შესახებ გატარებულ მუშაობის გამოცდილების მიხედვით.

პოლიტ-განყოფ. უფროსის მოადგილე: **ლომაძე.**

საორგნ.-საინსტრ. ქვე-განყ. უფროსი: ა. კოპაძე

პარტიის გამოსვლები.

საგანგებო სრულუფლებიანობის შესახებ კანონ-პროექტის საკითხის დროს სოციალ-დემოკრატების სახელით შეიდემანმა განაცხადა, რომ პარტია თანახმაა კანონის გატარებისა სრულუფლებიანობაზე, თუ დაცული იქნება რეიხსტაგის უფლებათა ხელშეკრულება. ცენტრის წარმომადგენელმა გაასმა განაცხადა, რომ მთავრობას შეუძლია იმედი იქონიოს ცენტრის მხრივ დახმარებაზე.

მარქსის საპროგრამო სიტყვა.

წარუდგინა რა რეიხსტაგს ახალი კაბინეტი, მარქსმა წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა. ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის სიმტკიცეს, განაცხადა მან, გარანტიას აძლევს შტრეზემანის თანხმობა დაიკავოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი საშინაო პოლიტიკური ამოცანების სფეროში მთავრობა მიზნად ისახავს მოსპოს აზრთა სხვა და სხვაობა და ებრძოლოს არა მემარჯვენე და მემარცხენე ელემენტებს, არამედ ყველას, რომლებიც სცდილობენ დაარღვიონ სახელმწიფოს მთლიანობა. ფინანსიური საკითხი—ეს ყოფნის საკითხია, რომელიც დაკავშირებულია არა ჩვეულებრივ სიძნელეებთან.

მარქსი ამტკიცებს კანონ-პროექტის დამტკიცების აუცილებლობას, მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ, რისთვისაც მას მოჰყავს ფინანსებისა და სახალხო მეურნეობის კატასტროფიული მდგომარეობა. ის აუცილებლად სთვლის დააჩქარონ ზომების მიღება საგადასახადო პოლიტიკის საქმეში.

ბავარიის საკითხში მარქსმა დაიჭირა შემრიგებელი პოზიცია და განაცხადა, რომ მთავრობა ფიქრობს ახლო მომავალში დაიწყოს ბავარიასთან მოლაპარაკება ავტონომიის გაფართოების შესახებ.

მარქსის ამ სიტყვების შემდეგ ისმის კომუნისტების ხმა: „მაშ თქვენ კაპიტულიაციას აწარმოებდით ბავარიის წინაშე“.

მწვავე საკითხის გამო, სამხედრო და საალყო წესების დაცვის შესახებ, მარქსმა განაცხადა, რომ მისი მოხსნა დღევანდელ მომენტში ერთი აუცილებელ პირობათაგანია სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

რეინისა და რურის საკითხების შესახებ მარქსმა განაცხადა, რომ რეიხსტაგი და იმპერიის მთავრობა არ დაუშვებს რეინისა და რურის ოლქების გამოყოფას გერმანიისაგან. ამ სიტყვების დროს კომუნისტების რიგებიდან ისმის ხმები: „ფაქტები სულ სხვას გვეუბნებიან“.

მარქსმა დაამთავრა თავის სიტყვა, და მოუწოდა ყველა ფრაქციებს რათა დაივიწყონ შუღლი და მხარი დაუჭირონ მთავრობას.

მარქსის სიტყვის შემდეგ რეიხსტაგი დაიხურა. მარქსმა ითათბირა ფრაქციის ლიდერებთან და შემდეგ მოხდა ფრაქციების თათბირი მთავრობის დეკლარაციის საკითხის გარშემო.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში

მბეჭდავთა გაფიცვები კოვნოში.

კოვნოში გაიფიცა მბეჭდავები, რომლებიც მოითხოვენ 30 პროც. სამუშაო ხელფასის მომატებას. გაზეთები არ გამოდის.

კრედიტი ნორვეგიის მხრით.

პრესის წარმომადგენელთან საუბარში პეტრულისმა განაცხადა, რომ ნორვეგიის მთავრობა აძლევს ლიტვას ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგის კრედიტს საამშენებლო მასალების დასახსნელად, რომელიც დაკვეთილი ჰქონდა ინგლისის ფირმებს. კრედიტი მიეცემა მაშინვე, როცა წარუდგენს ლონდონში ხარჯთ აღრიცხვას და რკინის გზების პროექტს.

შვეციის კომუნისტური ფრაქცია.

სოციალ-დემოკრატების და ბურჟუაზიულ პარტიების ერთიანი ფრონტის საპროტესტოდ, სტოკჰოლმის თვითმართველობას კომუნისტურმა ფრაქციამ მუნიციპალურ არჩევნებზე მოაწყო დემონსტრაცია და გაიყვანა თავის კანდიდატების სიები, რომლებიც ჩაშლილი იყვნენ ბურჟუაზიულ პარტიებისა და სოციალ-დემოკრატების მიერ.

კარგად აგებული სანგარი საფლავია მტრისათვის, მესანგრე კი — მისი მესაფლავე. გაუმარჯოს ჩვენს პატარა მესანგრეს, რომელიც სდგას წითელ საგუშაგოზე და თავისი ფარით მტკიცედ იცავს მას.

მესანგრე ასეულის სამხკომი
ამხ. **ს. ჯავახიშვილი.**

ცალკე მესანგრე ასეულის უფროსი
ამხ. **ყუბანეიშვილი.**

ცალკე მესანგრე ასეული.

დღეს, 7 დეკემბერს შესრულდა ერთი წელი, რაც ჩვენი ასეული გამოეყო საინჟინერო ათასეულს და ცალკე დაიწყო არსებობა. ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ასეული სდგას საბჭოთა ხელისუფლების სდარაჯოზე და რკინის რიგებით იცავს მტერთა მიერ დაღვრილ მშრომელთა სისხლში ამოვლებულ ცეცხლმოკიდებულ დროშას!

მესანგრე ასეულის შემადგენლობა 90 პროც. გლეხობაა, რომელთა უმრავლესობაც სრულიად უსწავლელი იყო წერა-კითხვისა, და ეხლა ყველამ შეიძინა აქ სწავლა, რადგანაც ესმოდათ, რომ სინათლით დაამარცხებდენ ყველა მტრებს.

საყვარელ მეთაურთა და პოლიტ-შემადგენლობის ენერგიული მუშაობით ჩვენმა წითელ არმიელებმა შესძლეს წითელი მეომრის ნამდვილ მწვერვალზე აყვანა; გააბეს ძმური კავშირი მბეჭდავ მუშებთან, ჭირსა და ლხინს მათთან იზიარებენ...

ჩვენი შეფის, მიწად მოქმედების კომისარიატის ნამდვილი მამობრივი მფარველობის შემწეობით ჩვენი ასეული უზრუნველყოფილია, როგორც ნივთიერად, ისე მორალურის დახმარებით. ჩვენს ასეულს მრავალ ადგილას მოუხდა ყოფნა და ყველგან დასტოვა მცხოვრებლებში მარად მოსაგონარი სახელი, ააშენა ყაზარმები, გზები, ხიდები; გამოიყვანა წყაროები, შეაკეთა მრავალი დამბები და სხვა.

ამ ზაფხულს სოფ. ახალდაბაში ბანაკობის დროს ძმური კავშირი გააბა სახერხ ქარხნის მუშებთან, რკინისგზელებთან, ახლო მახლო სოფლებთან და იქვე მდგარ რუსის და სომხურ ნაწილებთან. ყველგან აღმშენებლობითი მუშაობა, კულტურული მუშაობა და... გამომშვიდობება გულ-მტკივნეულად გლეხობასთან. წამოვედით იქიდან და... თან გამოგვყვა მათი სიყვარული. ჩვენმა ასეულმა შესძლო ყველაფერში გამარჯვება და საუკეთესო ადგილი დაიჭირა ჩვენს წითელ ჯარში. დღეს, ჩვენი ასეულის არსებობის ერთი წლის თავზე ერთხელ კიდევ შეჰფიცებს ჩვენი წითელი მესანგრე საბჭოთა ხელისუფლებას და შესძახებს:

გაუმარჯოს ცალკე მესანგრე ასეულს!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის შტაბს მესამე კომინტერნს!

№

მოსულის საკითხი.

მოსულის საკითხი უმთავრესი თავსატეხი საკითხთაგანია ოსმალეთსა და ინგლისს შორის. მოსულის ნავთი მოსვენებას არ აძლევს ინგლისის იმპერიალისტებს და რა ხერხს არ მიმართავენ მის ხელში ჩასაგდებათ.

მოსულის ვილაიეტი მესოპოტამიის ჩრდილოეთი ნაწილია. მესოპოტამია იყოფა სამ ნაწილად ბაღდათის, ბასსორის და მოსულის ვილაეტები. სამხრეთ მესოპოტამიაში ინგლისის გავლენა ძლიერია, მოსულში კი ოსმალეთის. მოსულის ვილაიეტს ორგვარი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის: ის დასაყრდნობი პუნქტია ინგლისის გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად სამხრეთ მესოპოტამიაში და აგრეთვე სპარსეთში, და მოსული, რომელიც ოსმალეთმა ჯერ კიდევ 1515 წელში წაართვეს სპარსელებს, ოსმალეთის მრეწველობის აყვავების მთავარი წყაროა.

სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება ხდის მოსულს სადაო საკითხად ოსმალეთსა და ინგლისს შორის. ინგლისის მთავრობას სურს რაც არ უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს მოსულის ვილაიეტი, მისი ნავთის წყაროები. ამ მიზნისათვისაც ინგლისის იმპერიალიზმი ნაცად ხერხს მიმართავს და თავის ინტერესების დასაცავად სრულებით არ ახსენებს ნავთს, არამედ „გუმანიურ“ იდეებს მიმართავს. ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ მას უპირავს მოსული ქრისტიან მცხოვრებთა და მათ ნაციონალური ინტერესების დასაცავად.

1922 წლის დამლევს ინგლისის მთავრობამ მაშინდელ პრემიერის ბონარ-ლოუს პირით განაცხადა: „ბრიტანეთის მანდატსა მოსულზე და ნავთის ჭებს შორის არავითარი კავშირი არ არის. ჩვენ ვრჩებით მოსულში არა ნავთისათვის და არ წავალთ იქიდან ნავთზე გადაცვლით“. ამ სიტყვებში პირმოთნეობის და სიცრუის მეტი არაფერია. ვინ არ იცის რომ ინგლისი რჩება მოსულში სწორედ ნავთისათვის და მას არაფრად არ აინტერესებს იქაურ მცხოვრებთა ბედ იღბალი. მით უფრო, რომ მოსულის მცხოვრებთა მთელი სიმპატია ოსმალეთისაკენაა მიპყრობილი.

მოსულის საკითხი გადაუჭრელი დარჩა ლოზანის კონფერენციაზე. ინგლისის ძალდატანების გამო ოსმალეთის დელეგაცია ლოზანაში იძულებული იყო წასულიყო დათმობებზე და 1923 წლის იანვარში ისმეტ ფაშა დაეთანხმა ინგლისის წინადადებაზე: მოსული მიმდინარე წლის განმავლობაში რჩება ძველ მდგომარეობაში ე. ი. ინგლისის ხელში და შემდეგ კი მისი ბედი უნდა გადაწყვიტოს ერთა ლიგამ. ლოზანას მეორე კონფერენციაზე ოსმალეთის ცდამ რათა გადასინჯული ყოფილიყო მოსულის საკითხი, კრახი განიცადა.

შემდეგ მოსულის საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა ამერიკის კაპიტალის ჩარევის გამო ჩესტერის კონცესიების სახით. ამ გარემოებამ შეაშფოთა ინგლისის მთავრობა და მოითხოვდა ოსმალეთიდან კონცესიების დარღვევას. აქაც არაფერი გამოვიდა. მოსულის საკითხის გადაჭრას კი ოსმალეთის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს.

ამის წინათ ოსმალეთის მთავრობამ მიმართა ინგლისს წინადადებით რაც შეიძლება მალე დაიწყონ მოლაპარაკება მოსულის შესახებ. ჯერ ინგლისს არავითარი პასუხი არ მიუცია. ინგლისის მთავრობა ეცდება გააჭიანუროს მოსულის საკითხის გადაჭრა და დაუცადოს ხელსაყრელ მომენტს, რომელიც ამ მწვავე საკითხს ინგლისის სასარგებლოდ გადაჭრის.

მაგრამ ინგლისის ცდები უშედეგოა. ოსმალეთის მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ოსმალეთი ის არ არის რაც ერთი თუ ორი წლის უკან იყო. დღეს ოსმალეთი ძლიერ რესპუბლიკანურ სახელმწიფოს წარმოადგენს. ოსმალეთს თვით ინგლისიც დიდ ანგარიშს უწევს. ინგლისი მომავალში ვერ შეუკარნახებს თავის სურვილებს ოსმალეთის რესპუბლიკას და იძულებული იქნება დათმობებზე წავიდეს მასთან.

ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მოსულის საკითხი ცოტათ თუ ბევრათ გადაწყდება ოსმალეთის სასარგებლოდ. თუმცა ინგლისი მთელი თავისი არსებით წინ აღუდგება ოსმალეთს ამ საკითხში, მაგრამ მდგომარეობა მას ბოლოს და ბოლოს აიძულებს საერთო ენა გამონახოს რესპუბლიკანურ ოსმალეთთან.

ს. პ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელი ჯარი

ჩვენი შემოქმედება.

(ბიბლიოგრაფია)

გამოვიდა უნტ. მეთ. მოსამ. სკოლის კედლის გაზეთი „**წითელი წკიპურტი**“ № 24 და უნდა ითქვას სამართლიანად რომ ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას.

კარგა მოზრდილი ფურცელი გაყოფილია ორ ნაწილად. ზემო ნაწილი უჭირავს ორ წერილს და ერთ ლექსს, დაბლა კი, მეორე ნახევარი მთლად იუმორს.

ბევრჯელ იყო გაზ. „წითელ არმიელში“ წერილები კედლის გაზეთების შესახებ და „წითელ წკიპურტის“ ხელმძღვანელებს, რომ ეხელმძღვანელათ მითი, ბევრს შეიძენდენ.

მასალებს დალაგება უნდა და რაც შეიძლება პატარ-პატარა წერილები, რომელსაც წითელ-არმიელი უფრო ხალისიანად წაიკითხავს. უნდა ვერიდოთ როგორც დიდ წერილებს, ისე დიდ ლექსებსაც. გაზეთში უნდა იყოს უფრო საჭირბოროტო კითხვები ნაწილის ცხოვრებიდან, დარიგებანი, წითელი და შავი დაფა, ნაწყვეტები სამხედრო ისტორიიდან, სანიტარიაზე, წრეების მუშაობაზე და სხვა.. რომელიც ამ გაზეთს აკლია.

საჭიროა გაზეთი იყოს დასურათებული და ფერადი მელნით ნაწერი, რომელიც უფრო იზიდავს თვალს. როგორც წერილების შინაარს, ისე გარეგნული სილამაზესაც უნდა მიექცეს ყურადღება. შინაარსიანი წერილებია, როგორც ალ. აფაქიძისა (მ. თაური) ისე დ. ჭანკვეტაძისა, (ორნაირი იარაღი) გრძელები რომ არ იყვეს.

ქ. ასათიანის ლექსში არის კარგი თემები, როგორცაა მაგ.

„წინ, მედგრათ, არმიელებო,—
დავამხოთ ძველი ქვეყანა;
თავისუფლება, ერთობა
დავაგვირგვინოთ ყველგანა“.

იუმორი მოისუსტებს...

საერთოდ გაზეთში სჩანს შემოქმედებითი ნიჭი, რომელსაც დამუშავება ეჭირვება, უფრო კი ტეხნიკურის მხრით.

იმედია ხელმძღვანელები შემდეგისათვის ეცდებიან ამ ნაკლის გამოსწორებას.

სანი.

მეორე საველე ბატარეია.

საღამო ..

წითელი კუთხე სავსეა არმიელებით.

ყველას საყვარელი პოლიტხელი ესაუბრება გეოგრაფიაზე;

გადიან აზიას და ევროპას...

მდებარეობა, ნიადაგი, ჰავა, მდინარეები, ზღვები, ქალაქები, მცხოვრებნი, სახელმწიფოებრივი წესწყობილება...

— აი ამხანაგებო ქარტა... უნდა კარგად შევისწავლოთ სხვა დარგებთან ერთად გეოგრაფიული მდებარეობაც .

როდესაც დაჰკრავს საათი იმ ქვეყნებშიც კაპიტალის ბყირავების, სადაც მოგვიხდება მოძმე მუშების და გლეხების დახმარება, ვიცოდეთ თუ საით და რისთვის წავალთ... აი ეს ბერლინი, პარიზი, ლონდონი, მადრიდი...— ამხანაგო პოლიტხელო შეიძლება?—

სიტყვას თხოულობს უცხო ენების კარგად მცოდნე წითელ-არმიელი გიორგი ხაჭ-ძე და იწყებს ახსნას გეოგრაფიისას...

ყველა კმაყოფილია ამხანაგის ცოდნით და პოლიტხელიც იღიმება...

— ამხანაგო პოლიტხელო, ე რომელი ზღვაა?— კითხულობს ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არმიელი, რომელიც ეხლახანს შეუდგა სწავლას.

— ეს ატლანტიკის ოკეანეა, ზღვაზე რამდენჯერმე დიდი...—უხსნის პოლიტხელი —აი ინგლისი, საფრანგეთი, პორტუგალია... ეს ესპანეთია ეს ყველა კაპიტალისტური ქვეყნებია, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ ვიბრძვით. ეს უკვე აფრიკაა, ამაზე ხვალ ვისაუბროთ, აქა სცხოვრობენ შავ-კანიანი ხალხი, რომელნიც დამონავებული ჰყავთ... ეს მაროკო... აი გიბრალტარის სრუტე, რომელიც აერთებს ხმელთაშუა ზღვას ატლანტიკასთან...

— რამოდენა ყოფილა ე ვერანა ქვეყანა ეე! მე კი მეგონა რომა ბათუმის იქით სულ წყალია მეთქი...

— გაკვირვებით იძახის ჩვენი გულუბრყვილო დუშელი კანო...

სიცილი,..

ისმის საყვირი. წითელ-არმიელები აიშალნენ სავახშმოდ. მოხსენებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას უზიარებდენ ერთმანეთს...

კოწი კვაჭა.

საარტილერიო-სკოლა.

სკოლაში გაცხოველებული მეცადინეობა სწარმოებს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. პოლიტ-საათები სისტემატიურად ტარდება. კურსანტები მეტად დაინტერესებული არიან საერთაშორისო მდგომარეობით განსაკუთრებით კი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს გერმანიის უკანასკნელ ამბებს. გარდა პოლიტიკური მეცადინეობისა ჩვენ გვეძლევა ცნობები აგრეთვე ასტრონომიიდან, ქიმიიდან და სხვა მეცნიერებიდანაც, რასაც თვითმპყრობელობის დროის, და მენშევიკ კერენსკის ჯარისკაცი სიზმარშიაც ვერ ნახავდა. კვირაში ორი საათია დათმობილი კურსანტისათვის გაუგებარ კითხვებზედ პასუხის გასაცემად, რაც დიდი სიამოვნებითსრულდება სამხედრო კომისრის მიერ.

სკოლაში მოწყობილია წითელი კუთხე ლოზუნგებით და პლაკატებით. მოგვდის „წითელი არმიელი“. მივიღეთ საჩუქრად გადმოგზავნილი თვითეულ კურსანტისთვის ფრიად შესანიშნავი და მდაბიო ენით დაწერილი ამხ. თენგიზ ელენტის წიგნი „წერილი ამხ. წითელ არმიელს“. ვაპირებთ სხვა და სხვა გაზეთების გამოწერას („მუშა“ „კომუნისტი“ და სხვა.) ვიღებთ მონაწილეობას სხვა და სხვა დარის წრეებში, როგორც, არის ლიტწრე პარტ-წრე და მუსიკალური-წრე. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობს ნიჭიერი ახალგაზრდა ლოტბარი ამ. შველიძე.

ტარდება სანიტრული საათებიც ამხ. ვაჩნაძის ხელმძღვანელობით.

სამხედრო მეცადინეობა შესაფერად მიმდინარეობს. ასეთია ჩვენი სკოლის ცხოვრება საერთოთ. უსურვებთ ჩვენ უფ-პოლიტ-შემადგენლობას მეტი ენერგიით და მხნეობით შესდგომოდნენ თავიანთ უნცროს ამხანაგებისადმი ის ცოდნის გადაცემას რომელიც ხელს შეუწყობს და დააგვირგვინებს ჩვენი წითელი ჯარის ცოდნა-გამოცდილების შეძენას.

გ. ბებელაშვილი

წ. არ. ცენტრ-კლუბში.

ორშაბათს, 3 დეკემბერს ცენტრალურ კლუბში მოხდა საზამთრო სეზონის გახსნა. წარმოდგენილი იქმნა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ 1—3 მოქმედებით და ვოდ. „მონადირე“.

კლუბი სავსე იყო წითელ არმიელებით. უკრავდა ცხენოსან ლეგიონის სამხედრო მუსიკა.

დადგმის მხრით დიდებული იყო „მსხვერპლი,“ მაგრამ მოთამაშეთა უმრავლესობას ეტყობოდა როლის უცოდინარობა. უმთავრეს როლებს ასრულებდენ ნაძალადევის თეატრის და სახალხო სახლის გამოცდილი სცენის მოყვარენი. როლები ზოგიერთებზედ შეუფერებლად იყო განაწილებული, მაგრამ შეძლების დაგვარად მაინც კარგად ჩაიარა წარმოდგენამ. კარგი იყო მასიური სცენები. სოფლის მწერალი კარგს შთაბეჭდილებას სტოვებდა. ბ. ლითანიშვილი „გაბოს“ როლში. არა უჭირდარა „საქოს“ როლში ვ კობელს, „ამატებითა“ სიტყვები, რომ არ შეეტანა. გ. ციმბირელი „ვანოს“ როლში კარგი იყო ბოლო მომენტში. კარგი იყო მამასახლისის როლში წით. არმიელი გიოშვილი...

„მონადირეებში“ ბევრი აცინა დამსწრენი ვანო კობახიძემ...

საღამო გათავდა ღამის 12 ნახ. საათზე და ნასიამოვნები წითელი არმიელები სიმღერით გაუდგენ თავთავიანთ ყაზარმებისაკენ.

№ 78

აჯანყება.

ცეცხლის რაშები სადგურიდგან დაიძრენ გუშინ...
ქარხნის ტრიუმფებს სიამაყის შეაწყდა ბოლი,
შეირყა ძველი უკულმართი ცხოვრება მრუში
ქალაქს ლაჰყურებს მარტოობით მთები ობოლი.

ქუჩები აღზდგა, ცეცხლფერდა ფაფარ აყრილი
ქალაქი ცეცხლში გრგვინავს და წივის,
ბაირახტები მოთამაშებს ნება აშლილი
ცეცხლის აკორდათ გარდაიქცა ქვეყანა ცივი.

იღვიძებს ხალხი, აენთო შრომის წამების კერა
მონები ქუჩის გადამწყვეტად ჩაება ბრძოლას
ცრემლი ვის ახსოვს, ყიჟინია ცეცხლი სიმღერა
და ჩვენც ჩავებით თავისუფალ ამ გიჟურ ქროლას.

აჯანყების ხმა გოლგოთაზე მძიმე ჯვარს იტანს
დროშები მთიდგან თითქოს ქალაქს ნელნელ ეშვება,
მზე აგვირისტებს ბრძოლის ველზე ოქროს ყაითანს.
ყველა ვიცინით ყველა ხარობს შვებაა, შვება!

გოგიტო ციმბირელი.

პარტიული ცხოვრება

(პასუხისმგებელ მდივნების თათბირი)

ა. წ. 1 და 2 დეკემბერს ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილებაში შესდგა ქ. ტფილისში მდგარ ქართულ ნაწილების პარტ-ორგანიზაციების პასუხის მგებელ მდივნების თათბირი. თათბირში დღის წესრიგი იყო. 1) მოხსენება ადგილებიდან, 2) საორგანიზაციო საკითხები და 3) პარტ-კომისიის მოხსენება თავის მუშაობაზე.

პირველ საკითხზე მოსმენილი იქმნა ადგილებიდან მოხსენებები, რამაც თვალ-წინ გადაგვიშალა პარტიული მუშაობის მდგომარება ნაწილებში. ის მეტად გაცხოველებულ ტემპით მიმდინარეობს და სასურველ შედეგებსაც იღებს. მუშაობა უპარტიო ამხანაგებში მთავარ მიზნათ აქვთ დასახული ჩვენ პარტ-ორგანიზაციებს. კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან ყველა ნაწილებს აქვთ აღდგენილი. პარტიული და პოლიტიკური წრეები გაცხოველებით მუშაობენ. საბოლოოდ ჩამოყალიბებულია წითელი კუთხეები სადაც მიმდინარეობს ბაასი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე. საერთოთ უნდა ითქვას, რომ ამ თათბირმა ნათლად დაგვისურათა თუ როგორ გაიზარდა აქტივობა ყველა პარტ-ამხანაგებისა და როგორი სწორი გეზით სწარმოებს პარტ-მუშაობა.

მეორე საკითხზე მოსმენილი იქმნა მოხსენება პოლიტ-განის უფროსის მოადგილის ამხ. ს. ლომიძესი, რომელიც შეეხო ზოგიერთ საორგანიზაციო საკითხებს. მომხსენებელმა გააშუქა პარტ-ორგანიზაციების მუშაობა წარსულში. შეეხო მომავალ მუშაობის მორიგ ამოცანებს. მან აღნიშნა ჩვენი პარტ-ორგანიზაციების მდგომარეობა და საჭიროთ სცნო, პარტიული აპარატის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, რაიც გამოიხატება:

ასეულის კომუჯრედების შექმნაში, რაც გამოიღებს უფრო მეტ ნაყოფს: გააცხოველებს პარტიულ მუშაობას და პარტიას უფრო მეტათ დაუახლოვდება უპარტიო მასასო. ამასთანავე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ მიზნის მისაღწევად გადაწყვეტილია, რომ მთელ დივიზიაში მოეწყოს რამდენიმე **სანიმუშო კომუჯრედები**, რომლებიც თავისი მუშაობით მაგალითის მაჩვენებელი იქმნება სხვა პარტ-ორგანიზაციებისა. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვა და კამათი.

დასასრულ თათბირმა მოისმინა მოხსენება პარტ-კომისიის მუშაობაზე. თათბირი იყო მეტად საქმიანი და ნაყოფიერი.

ხ.

უპტონ სინკლერ.

დიდხანს სდუმდა დიდი ოკეანე და არაფერს ამბობდა იმ საიდუმლოებაზე, რომელიც მის მეორე ნაპირზე სუფევდა. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ინახავდა ის ამ საიდუმლოებას თავის სიღრმეში. მაგრამ დადგა დრო და საიდუმლოება გამომჟღავნდა. ის გასცა ლითონის უმნიშვნელო ისარმა, რომელსაც აედევნა უზარმაზარი გემი მაძიებელთა. ევროპიელმა იხილა ახალი სანაპიროები. მან ხარბად მოავლო თვალი გარემოს. უსაზღვრო სივრცე. უხვი ბუნება. ფიქრებს მიეცა. მის წინ ჩამოირბინა ამ ქვეყნის თავისუფალმა შვილმა. შვილდ-ისარ მომართული ის ნადირს მისდევდა. მისი დაუღალავი სირბილი, ულრუბლო სახე, ამაყი, შიშველი მკერდი, ძლიერი მკლავები დაგრაგნილ კუნთებით,—ყველაფერი ეს ბევრ რამეს პირდებოდა ევროპიელს.

გავიდა მცირე ხანი. საშინელმა ხმაურმა შეატორტმანა წყნარი ოკეანის ტალღები. ეს გმინავდა ახალი ქვეყანა, რომელსაც ბარ-ნიჩბებით დახვეოდენ მილიონობით მონა-ადამიანები და უბიწო მკერდს უწყალოდ ულადრავდენ. ისმოდა ყრუ ბაგა-ბუგი და მიწის გმინვას უერთდებოდა მშრომელთა ოხვრა და კვნესა. მონა-ადამიანები ქვესკნელში მიძვრებოდენ ახალი ღმერთების საძიებლად. შავი ბურუსი თანდათან ჩრდილავდა საუკუნეების განმავლობაში მოძღიმარ ქვეყანას. ნათელ მზეს ქარხნების ბოლი ეფარებოდა.

მიწის სიღრმიდან იბადებოდენ ღმერთები და ტახტზე ადიოდენ. მრავლდებოდენ მეფეები საოცარი ტიტულებით: ოქროს მეფე, ნავთის მეფე, ნახშირთ მეფე... ურყევი იყო ბრძანება მათი: ააგეთ ქალაქი, სასახლეები! და აღიმართებოდენ ისინი. ჩიკაგო, ნიუ-იორკი, ვაშინგტონი. ეს მათი წარსულის ძეგლებია და მომავალი სარკოფაგები.

ამერიკა დაბურღულია გვირაბებით და მაღაროებით, სადაც დამარხულია მილიონ მშრომელთა სიცოცხლეები. იზრდება გვირაბთა სიღრმე და ახლოვდება მანძილი დედა-მიწის გულთან, საიდანაც იფეთქებს აფოფინებული ცხელი ლავა და ჩაითრევს თავის სიღრმეში ცოდვით დატვირთულ სასახლეებსა და კერპთა ბომონებს. გულგამოხრული ბებერი ამერიკა ვერ გაუძლებს ქალაქთა სიმძიმეს ერთი ვულკანიური გაქანება და ის ჩალაგდება უკვე გამზადულ სამარეში.

ამერიკა მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ, შესწორებით; ის მდიდართა ქვეყანაა.

ო, დიდო კოლუმბ! შენ იპოვნე ახალი თავისუფალი ქვეყანა, მაგრამ ის კვლავ დაიკარგა. საჭიროა ახალი ამერიკის აღმოჩენა, საჭიროა ახალი კომპასი.

სდგას გემი ოკეანის ნავთ-სადგურში და უცდის თავის კოლუმბებს. და ისინიც მოდიან. მოდიან არა ერთი და ორი, არა ათი და ოცი, უთვალავია მათი რიცხვი. მოდიან ისინი ბობოქარ ტალღებთან ბრძოლაში გამობრძმედილ რაზმებით. გემის ღუზა აშვებულია და სადაც არის გაქანდება ის ახალ ნაპირისაკენ.

ამერიკის თანამედროვე მწერალი, უპტონ სინკლერი ერთი იმ რაზმელთაგანია რომელიც იწვევს ახალი პოლიუსისათვის. შეიძლება კიდევ მეტის თქმა: ის კოლუმბია თანამედროვე ლიტერატურაში.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბები

საგლეხო კომიტეტები მუშაობენ.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომ. რწმუნებულმა და შორაპნის მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ შორაპნის მაზრის საფონდო ტყეები გადაეცეს საექსპლოატაციოთ გლეხთა კომიტეტებს.

ზუგდიდის მაზრაში.

გლეხთა კომიტეტები არჩევნებში დამთავრდა. კომიტეტების ყრილობაზე დადგენილ იქნა, რომ კომიტეტის ფონდისათვის გაღებულ იქნას თითეული ოჯახისაგან განსაზღვრული თანხა; ულარიბესი გლეხობა გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

პენსიების გადიდება.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა დაადგინა 1 დეკემბრიდან გაუდიდოს პენსიები ომის ინვალიდებს 100 პროცენტით და შრომის ინვალიდებს—70 პროც.

სიღნაღის გლეხკომი.

ყველაზე კარგათ გლეხთა კომიტეტებში მოწყობილია სიღნაღის

გლეხკომში. მაზრაში მას აქვს მოწყობილი ტყავეულობის ქარხანა, 16 სასადილო სოფლებში და უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი.

ᲤᲐᲠᲗᲚᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲛᲔᲑᲡ.

გლეხთა კომიტეტებისათვის ფართლეულობის მისაწოდებლად ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ფეიქართა სინდიკატთან. პირველ რიგში ფართალს მიიღებენ ოზურგეთის და სიღნაღის გლეხკომები.

ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡ-ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

საზოგადოება „ჩემოს“ გამგეობამ და ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობამ მიიღეს დადგენილება თავის ხარჯზე მოაწყონ ჰაეროპლანით მიმოსვლა ტფილის-ჭიათურას შორის.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ქ. თელავში გააკეთა აბანო, რომელიც ტეხნიკურად საუცხოვოდ არის მოწყობილი. განზრახულია ასეთივე აბანოების გახსნა სოფლებშიაც.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲓ.

შრ. კომისარიატმა დაადგინა, უვადო შვებულებაში დათხოვილი წითელ-არმიელები შრომის ბირჟიდან პირველ რიგში გაიგზავნონ მილიციათა თანამდებობაზე.

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ა. კ. ცაკმა დაადგინა სამოქალაქო ომში ეთრგვარდიელებთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგების ოჯახის წევრნი, რომელნიც აღრიცხულნი არიან შრომის ბირჟაში, სამუშაოზე გაიგზავნონ ყოველ გვარი რიგის გარეშე.

ᲑᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეიძინა ენზელში 25.000 ფ. ბრინჯი, რომელიც განაწილდება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შორის.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ „ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲘᲡ“ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ.

როგორც გამოირკვა 9 ნოემბრის მოხსენებამ ვერც დამსწრენი დააკმაყოფილა, ვერც თვითონ მომხსენებელი—რაც შემეძლო, ის ვსთქვი; დრო მეტი არ იყო და ამაზე მეტის თქმა ვერ მოვასწარიო—იმართლებდა თავს.

მეორე დღეს უარესი მოვისმინეთ დამსწრეთაგან: თუ წრე ასეთ მოხსენებას კვლავ გაგვიმართავსო, ჩვენ ველარ დავესწრებით, ვერ დავკარგავთ ძვირფას დროს, რადგანაც ყველასა გვაქვს ნაკისრი მოვალეობანი და ვმეცადინობთ ნაწილებშიო.

მართლაც ვინ არ იცის, რომ ჩვენი ჯარი სულ ახლად ეწყობა, სავსებით ახალ საფუძველზე. სწავლას იწყებს „წყობილების წესდების“ ძახილებიდგან მოკიდებული, ვიდრე „საველე წესდების“ ღრმა და მეცნიერულ დებულებამდის. ამ ბუმბერაზულ მუშაობის დროს ხელის შეშლა და დროის დაკარგვა კი არ ესაჭიროება ჩვენს ჯარში მოღვაწეთ, არამედ შველა ჯაფის შემსუბუქება. „წრეს“ სწორედ ასეთი მიზანი ასულდგმულებს და მთელი თავისი შემადგენლობით მოსურნეა შეიქმნეს ავტორიტეტულ ხელმძღვანელად.

მოხსენებებით გამომჟღავნდება ეს სურვილი, რასაც დიდი ყურადღება ესაჭიროება და ისეთი მოწყობა, რომ მსმენელებმა დროს დაკარგვად კი არა გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად ჩასთვალონ ყოველი მოხსენების საღამო, ბოიკოტით კი არ გვემუქრებოდენ, გულის ფანცქალით მოელოდნენ და მოუხაროდეთ „წრის“ მოხსენებებზე.

აი ასეთი სასურველ უფროს დაწესებულებად რომ გადაიქცეს „სამხედრო მეცნიერების წრე“, საჭიროა მოხსენებები შემდეგ ნაირად მოგვარდეს:

ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ქართულად არ მოგვეპოვება სამხედრო სრული ტერმინოლოგია, არა გვაქვს გამომუშავებული სამხედრო ენა—სტილი; ამის შექმნას ბევრი დრო უნდა, მგრამ ყოველდღიურ ლაპარაკში, წერაში და მოხსენებაში სწორი ტერმინების და საერთოდ სწორ ენის დაუცველობა ბაბილონის გოდოლის აშენებამდის მიგვიყვანს. 9 ნოემბრის მომხსენებელი „გულნაკლულად“ გაიძახოდა: „Полотнище“ ვერ გადავთარგმნე და რა ვქნაო; სიტყვა **კვეთა** და **კვეთება** არ იყო ერთი მეორისაგან განსხვავებული და ამიტომ მკვეთ იარაღებ შორის ხელის ყუმბარაც აღმოჩნდა. მკვეთი იარაღი—холодное оружие, არის: ხიშტი, ხმალი, ხამი და ქართული ნაირილი ხმალი. „გაჰკვეთე ქარი, გაპე წყალი“... კვეთების იარაღია: თოფი, ყუმბარები, ტყვიისმფრქვევები, ყუმბარის მფრქვევები, ნაღმფრქვევები და სხ. ენის და სტილის მხრივ ბევრი სხვა შეცდომებიც იყო დაშვებული.

ცხადია ბევრი გასამართლებელი საბუთი მოიპოვება ამ ნაკლების ასახსნელად, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თუ არ ოფიციალურმა მომხსენებელმა და ოფიციალურ მოხსენებაში მაშ ვინ და სად უნდა დაიცვას ენის სისწორე და ცნებათა და სამხედრო სტილის აურევლობა... ამ მხრივ მეტად დიდი წინდახედულება და მომზადებაა საჭირო, რომ მალე მივახწიოთ იმ დროს, როდესაც ყოველი სამხედრო მეცნიერული სიტყვა ხმალივით მჭრელი იქნება და ჩამგონებელი ერთი რომელიმე განსაკუთრებული ცნებისა. სხვა დამუშავებულ ენებზე ამ მხრივ აღარც კი ლაპარაკობენ; ჩვენთვის კი, თუმცა გარეგნული, მაგრამ ეს მეტად საყურადღებო მხარეა, რადგანაც „ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდები“ მართლაც სამშობლოს ამომგდებად გადაგვექცევა, თუ ბრძოლებში—სიკვდილის პირისპირ დგომის დროს—ხელები გავშალეთ და ვიძახეთ: Полотнище, пулемет, орудие და სხ. ვერ გადავთარგმნე და რა ვქნაო. სამხედრო წესდების შესწავლა გამოგვიყვანს ამ დამღუპველ უხერხულობიდან. შინაარსითაც ჩვენი მოხსენებები უნდა იყოს მდიდარი. ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, რომ ხვალისთვის გადადება იმისა, რაც დღეს შეიძლება ითქვას პირდაპირ დანაშაულობაა. ერთს საღამოს და ერთ მოხსენებაში მსმენელებს მოკლედ და მკაფიოდ ყველაფერი უნდა გადავსცეთ. მართალია ქართული სამხედრო ლიტერატურა ვერ მისცემს მომხსენებელს მდიდარ მასალას, მაგრამ ხელთ გვაქვს რუსული და თუ კი თავს შევიწუხებთ და ამ ენის ცოდნა გვაქვს, ყველაფერი შესაძლებელია. მხოლოდ საჭიროა შრომა, შრომა მეცნიერული და სინდისიერი.

(დასასრული იქნება).

ლ. ცაგარელი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲚᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ.

ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან სწუხდა კაცობრიობა თავისი სიცოცხლის არა ხანგრძლიობის შესახებ. ფილოსოფოსები, პოეტები და მთელი რიგი რომანისტებისა ყველა ერთნაირად ამბობენ, რომ ჩვენს სიცოცხლეს სწორედ იმ დროს ელება ბოლო, როდესაც ის ყველაზე უფრო მიმზიდველი და საყვარელი ხდებაო. არა თუ მარტო ეს დიდი ხალხი, არამედ თითქმის ყველა სწუხს თავისი ამ ქვეყნიური ცხოვრების ხანმოკლეობაზე. მაგრამ ამასთანავე ვხვდებით გამონაკლისსაც, ეხვდებით ისეთ პიროვნებებს რომლებიც დაკმაყოფილებული არიან ამ წუთი სოფლით და სიკვდილი ბუნების უმშვენიერეს მოვლენად მიაჩნიათ. ასეთი შეხედულების იყო გერმანელი ფიზიოლოგი რუბნერი. ის მეტად გაკვირვებული იყო იმ ხალხის ქცევით, რომლებიც ასეთი უკმაყოფილებით სწუწუნებდენ წუთი სოფლის ხანმოკლეობაზე, და ურჩევდა ყველას კმაყოფილებით მოეხსენებიათ ბედი, რომელმაც არგუნა მათ ასეთი დიდი ხნის სიცოცხლე. თავის გამოკვლევებში ის ამტკიცებს, რომ ადამიანი განირჩევა სხვა ძუძუმწოვარა ცხოველებისაგან თავისი ორგანიზმის მეტად ნელი განვითარებით, რომლის შედეგიც არის მისი ხანგრძლივი სიცოცხლე. იმ დროს, როდესაც ახლად დაბადებულ კურდღელს ექვსი დღე სჭირდება თავისი წონის გასაორკეცებლად, ცხენს, რომელიც გაცილებით დიდია ადამიანზე უნდა სამოცი დღე, ბავშვს თავისი წონის გასაორკეცებლად ექვსი თვე სჭირდება. რუბნერი ანგარიშობს, თუ ენერგიის როგორი რაოდენობა დასჭირდება თითეულ მათგანს წონის გასაორკეცებლად და იღებს შემდეგ შედეგებს: იმ დროს როდესაც მსხვილი ძუძუმწოვარა ცხოველები (კურდღელი, ძაღლი, ძროხა, ცხენი) ხარჯავენ ამისთვის თითქმის ერთ და იმავე ენერგიის რაოდენობას, ახლად დაბადებული ბავში იმავე შედეგების მისაღწევად ხარჯავს ექვსჯერ მეტ რაოდენობის ენერგიისას. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობას რუბნერი 80 წლით განსაზღვრავს.

როგორი გზითაც არ უნდა მიუდგეთ ამ საკითხს, ერთი მაინც ცხადია, რომ ჩვენი წუთისოფელი მეტად ხანმოკლეა. ადამიანი ვერ ცხოვრობს იმდენს, რამდენსაც უნდა ცხოვრობდეს კანონით. საქმე იმაშია, რომ ადამიანი და სხვა ძუძუმწოვარა და აგრეთვე მიწაზე სიარულს მიჩვეული ფრინველები უფრო ადრე იხოცებიან ვიდრე სიკვდილის ბუნებრივ ვადაში.

ეს ყველა იმ დროს, როდესაც შემჩნეულია, რომ ფრინველები როგორც წვრილი ისე მსხვილი გაცილებით უფრო დიდხანს ცხოვრობენ (მაგალ. შევარდენი არწივი, თუთიყუში და სხვა.)

მაშ რაშია საქმე, რა უშლის ხელს ადამიანის და სხვა ცხოველების დიდი ხნის სიცოცხლეს? სხვა და სხვა მეცნიერებს სხვა და სხვა აზრი აქვთ ამის შესახებ. ზოგი ფიქრობს რომ ეს დამოკიდებულია ენერგიის მეტი რაოდენობით ხარჯვაზე, ზოგიც კიდევ ფიქრობს, რომ ცხოველების ორგანიზმებში უნდა ხდებოდეს ისეთი მოვლენები, რომელიც აბრკოლებს ჩვენი სიცოცხლის გახანგრძლივებასო. ამ უკანასკნელთა შორის მეტად საინტერესოა რუს მეცნიერის მეჩნიკოვის აზრი, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლიობას უკავშირებს გრძელი ნაწლევების სიდიდეს. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ვ. ს.

ᲡᲐᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝ ᲐᲜᲣ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲡᲐᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ.

9. ტერიტორიალურ ნაწილების ორგანიზაცია და სამხედრო მომზადება.

საბჭოთა რესპუბლიკების მიერ დასახულ მიზნის მიხედვით, რესპუბლიკების მთელი ტერიტორია უნდა ტერიტორიალური ჯარის ნაწილებით დაიფაროს. ეს ნაწილები უნდა შესდგებოდენ ძირითად (მუდმივ) და ცვალებად შედგენილებისაგან. ცვალებადი შედგენილება სამსახურში ოთხი წელიწადის განმავლობაში ხანგამოშვებით უნდა იმყოფებოდეს, ძირითადი კი მუდმივად. ადგილობრივ პირობებისა და სპეციალ ჯარის განსაკუთრებულ სამსახურის თვისების მიხედვით, რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს შეუძლია შესცვალოს ეს ვადა.

ტერიტორიალურ ნაწილების ძირითადი შემადგენლობა საუკეთესოთ უნდა იყოს გაწვრთნილი სამხედრო ხელოვნებაში და ამას გარდა დიდის სიფრთხილით უნდა იყოს შერჩეული. ძირითად შემადგენლობა სამსახურს იმავე საფუძველზე ეწევა, როგორათაც მუდმივ წითელ არმიის შემადგენლობა. ამ ჟამად, პირველ ხანობაში, ცვალებად შედგენილებაში გაიწვევა სამხედრო სამსახურში ნამსახური მოქალაქენი, მომავალში კი ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც 3 თვის სამხედრო მომზადება ექნება მიღებული. უამისოთ იგინი არ ჩაირიცხებიან ცვალებად შედგენილებაში.

ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შედგენილებაში ჩარიცხული სამხედრო ვალდებული მოქალაქენი ემორჩილებიან ნაწილებისათვის დაწესებულ წესრიგს. იგინი მოვალენი არიან გამოცხადდენ სამხედრო უწყების მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ აღრიცხვაზედ, სამედიცინო შემოწმებაზედ, სწავლებაზედ, სხვა და სხვა შეკრებაზედ და სხვა. ცვალებად შედგენილებაში ჩარიცხული მოქალაქე ოთხი წლის განმავლობაში არა უმეტეს ხუთი თვისას იმსახურებს, და ყოველ ცალკე წელიწადში არა უმეტეს ორი თვისა.

საბჭოთა რესპუბლიკებს, დაუსახავთ რა მიზნად მოქალაქეთა მშვიდობიან შრომის უზრუნველყოფა და რესპუბლიკების თავდაცვის უნარიანობის ამაღლება-წარმატება, ამავე დროს მიღებული აქვთ მხედველობაში ჯარში გაწვეულთა ყოფა-ცხოვრება: ყოველ გაწვეულ სამხედრო ვალდებულ მოქალაქეს, ცვალებად შედგენილებაში ყოფნისას სწავლებისა და შეკრეფის ხანაში სამსახურისა და სამუშაო ადგილი ენახება. სწავლებაზედ და შეკრეფაზედ გაწვევისას, იმ დაწესებულებებმა და საწარმოებმა, სადაც სამხედრო ვალდებული მოქალაქენი მსახურობენ, დაუყონებლივ უნდა გაანთავისუფლონ იგინი. ცვალებად შედგენილების შევსებისა და შეკრეფის უზრუნველსაყოფად არც ერთ სამხედრო ვალდებულ მოქალაქეს არ უნდა ჰქონდეს უფლება სამხედრო უფროსების ნებადაურთველად დასტოვოს თავის ნაწილის შესავსები რაიონი. ის მოქალაქენი, რომელთაც სამხედრო მომზადება საერთო წესით არ მიუღიათ, სტოვებენ თავის დივიზიის რაიონს და სხვა საცხოვრებელ ბინაზედ გადადიან, იგინი სამხედრო სამსახურის არმოხდილთა რიცხვში გადაირიცხებიან და მოვალენი იქნებიან მუდმივ ჯარში მოიხადონ სამხედრო სამსახური, საერთო წესით. ცვალებად შედგენილებაში სამსახურის მოხდის შემდეგ, მოქალაქენი ჯარის თადარიგში გადირიცხებიან და ომიანობის დროს ან ლაშქროსან ან მუდმივ ჯარის ნაწილებში შესაკრებად გამწესებენ.

ვინაიდან მუდმივ ჯარში სამსახური უფრო სამძიმოა, ვიდრე ტერიტორიალურ ნაწილებში, ამიტომ მათ შეღავათი ეძლევათ სამსახურის მოხდის შემდეგ. მუდმივ ჯარში ნამყოფ მოქალაქეებს თადარიგში ყოფნის ვადა უმოკლდებათ წელიწადით ჯარში ყოფნის ყოველ წელიწადში.

ჯარის საერთო წესით შეკრებისას, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილება იმავე კმაყოფაზედ იმყოფება, როგორათაც მუდმივ წითელ-არმიის რიგებში სამხედრო მოსამსახურენი.

აღნიშნულია, რომ სამხედრო სამსახურში მყოფთ ერთგვარი სიყვარული ენერგებათ გულში იმ ნაწილისადმი, სადაც მათ სამხედრო მომზადება მიუღიათ. ესაც მხედველობაშია მიღებული დეკრეტში და ცვალებად შედგენილებას, სწავლებისა და შეკრეფისაგან თავისუფალ დროს, უფლება აქვთ საკუთარ ნაწილის ფორმის ტარებისა, მხოლოდ, რასაკვირველია, საკუთარ ხარჯზედ უნდა შეიკერონ. ომიანობის გარემოებით გამოწვეულ მობილიზაციის გამოცხადებაზედ, ყოველი დაწესებულებანი და საწარმოები მოვალენი არიან მოკლე ვადაში გაანთავისუფლონ ცვალებად შედგენილებაში მყოფი მოქალაქენი სამსახურისაგან და სამუშაოსაგან, და იმავე ვადაში ანგარიში გაუსწორონ.

16-18 წლის ჰასაკის მოქალაქეებმა უნდა წინასწარი მომზადება გაიარონ. ეს მომზადება უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდობის ფიზიკურ და სამხედრო პირველდაწყებით აღზრდას რაც უნდა სწარმოებდეს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობით და სამოქალაქო ორგანიზაციათა საშუალებით, ამ სამი წლის განმავლობაში სამხედრო უწყებას ეძლევა უფლება ჯარის გარეშე მეცადინეობაზედ გაიწვიოს ახალგაზრდობა—არა უმეტეს ოთხი კვირის ვადისა.

19 წლის ჰასაკიდან და გაწვევამდე ერთი წლის წინ, მოქალაქენი მოვალენი არიან გაირონ გაწვევამდე სამხედრო მომზადების კურსი, რაც უნდა საერთო 10 კვირაზედ მეტს არ უნდა გრძელდებოდეს და ყოველ გაწვევაზედ არა უმეტეს 4 კვირისა.

წითელ-არმიის თადარიგში მყოფი სამხედრო სამსახურში ნამსახური მოქალაქენი განმეორებულ სწავლებაზედ, სამხედრო უწყების აღრიცხვაზედ ყოფნის განმავლობაში, სამჯერ გაიწვევიან და ყოველ გაწვევაზედ არა უმეტეს ერთი თვისა. სახელმწიფოს ხარჯზედ იმყოფებიან მხოლოდ ისინი, ვინც სამხედრო სწავლებას ჯარების ნაწილებში გადიან.

როგორც სახელმწიფო სამსახუში მყოფ მოქალაქეთ, ისე კერძო დაწესებულებებში და საწარმოებში მოსამსახურეთ, სამხედრო სწავლების გავლის დროს, რაც რომ მათ სამსახურის ადგილის მიხედვით და თანამდებობით ჯამაგირს ღებულობდენ გაწვევამდე, სრულიად ენახებათ.

გ. ბარნაბიშვილი

ნ. დ. ს. ც.

ტირაჟი 1200.

სამხედრო სტამბა

პასუხისმგებელი რედაქტორი—დ. ხანჭალაძე.